პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

№ 65 (1235) | კვირა, 1 ივნისი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო მატჩები ფეხბურთში

სტამბოლი, 28 მაისი. აქ სტუმრად მყოფი მოსკოვის „ლოკომოტივი" შეხვდა თურქეთის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო კლუბის „ფენერბახჩეს" გუნდს.

ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა ვორონშილოვმა, ხოლო ტაიმის დასასრულს სოკოლოვმა გაიტანა მეორე ბურთი — 2:0. ამის შემდეგ თურქებმა საჯარიმო დარტყმებიდან გაქვითეს ორივე გოლი — 2:2. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე კალოევმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა და „ლოკომოტივმა" გაიმარჯვა ანგარიშით — 3:2.

ამ მატჩმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა თურქეთის პრესაში. გაზეთები აღნიშნავენ არაობიექტურ მსაჯობას, კერძოდ, „ლოკომოტივის" კარში უმართებულოდ დანიშნულ 11-მეტრიან საჯარიმოს.

გაზეთი „ვატანი" აღწერს ასეთ შემთხვევას: „ფენერბახჩეს" რომელღაც მოთამაშემ განზრახ მოარტყა ფეხი მიწაზე მწოლიარე საბჭოთა ფეხბურთელს. თურქეთის არბიტრთა გუნდის მწვრთნელმა ინგლისელმა ე. ჯონსმა ხმამაღლა გამოთქვა თავისი აღშფოთება ამ ხულიგნური საქციელის გამო. „ფენერბახჩეს" ხელმძღვანელებმა უხამსი სიტყვებით გალანძღეს ინგლისელი და მისი ცემაც კი მოიწადინეს, მხოლოდ პოლიციის აქტიურმა ჩარევამ გადაარჩინა ე. ჯონსი ფიზიკურ შეურაცხყოფას.

• • •

ამის წინათ, „ლოკომოტივი" ანკარაში შეხვდა ადგილობრივ „ბეშიქტაშს" და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:2. მატჩი უხეში შეცდომებითა და დაუფარავი მიკერძოებით ჩაატარა თურქმა მსაჯმა ფაიკ გოკაიმ, რომელიც თურქეთის საფეხბურთო ფედერაციის მიერ დისკვალიფიცირებულ იქნა.

## მოიგეს ყველა შეხვედრა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მოწვევით ქალაქ მაგდებურგში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა კოლექტივი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ოთხი გუნდის საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მასპინძლების ორი გუნდი — „დინამო" და „აუფბალი", ჰალეს „ვისენშაფტი" და თბილისის „დინამო".

თბილისელებმა მოიგეს ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი მოიპოვეს საერთაშორისო ტურნირში. მეორე ადგილზე გავიდნენ მაგდებურგელი თანაკლუბელები. მესამეზე — „აუფბალის" წყალბურთელები.

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

კაცობრიობის ყვავილობა! ასე უწოდა ჩვენს მომავალს — ნორჩ თაობას ერთ-ერთმა ცნობილმა მწერალმა. და რა ღრმა აზრი, ცხოვრების სიბრძნეა ჩაქსოვილი ამ ხატოვან თქმაში!.. ისევე, როგორც მცენარის ყვავილობა ამკობს და ალამაზებს ბუნებას, ბავშვები ჩვენს ცხოვრებას ამკობენ და ალამაზებენ. ისევე, როგორც მცენარის ყვავილობაზეა დამოკიდებული ბუნების მომავალი ნაყოფიერება, დოვლათი და მთამომავლობის განგრძობა, ნორჩი თაობის ბედნიერ, ნათელ ცხოვრებასა და ზრდაზეა დამოკიდებული კაცობრიობის პროგრესიც, მატერიალური დოვლათის ზრდაც, ადამიანთა სულიერი და ფიზიკური ძალების აყვავებაც. ამიტომ, ბავშვები არა მარტო ჩვენი სიყვარულის, ალტაცების და საყოველთაო ზრუნვის საგანია, არამედ ამასთან — ჩვენი იმედიც, ჩვენი მომავალიც, რომელსაც ხვალ ჩვენმა თაობამ სათუთად უნდა გადასცეს ყოველივე ის, რაც კაცობრიობას, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, მისი სიყვარულით, მისთვის ზრუნვით შეუქმნია, ყოველივე ის, რომლის ნამდვილი მესვეური, ბატონ-პატრონი და კანონიერი გამგებელი უნდა გახდეს იგი.

ბავშვები ყველა ქვეყანაში უყვართ, მაგრამ ყველგან ერთგვარი როდია ეს სიყვარული, მისი რაობა; ყველგან ერთგვარი როდია მათზე ზრუნვის ხასიათიც. ხომ არის ქვეყნები, სადაც ადამიანთა ერთ კასტას, დიდძალი სიმდიდრის მფლობელს, ბავშვი, მემკვიდრე უპირველეს ყოვლისა საქმოსნური ინტერესების საგნად ჰყავს მიჩნეული და მისდამი სიყვარულიც ახეთივე ანგარების, ნივთიერების დაღს ატარებს: შვილი, უპირველეს ყოვლისა ძირითადად მის მილიონების მემკვიდრე და მისი ბიზნესის გამგრძელებელია. მაგრამ სხვათა ბავშვებზეც „ზრუნავენ" ისინი—მშრომელთა ბედ-იღბლის ეს უკანონო გამგებელნი: ზრუნავენ, რათა თავიანთივე მილიონებსა და მილიარდებს შეუმზადონ მილიონობით მუშა-ხელი და საზარბაზნე ხორცი...

მხოლოდ საბჭოეთის დიად მიწა-წყალზე განხორციელდა პრაქტიკულად კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა მგზნებარე ფიქრი, ნააზრევი და ოცნებები მომავალზე, მოზარდ თაობაზე ჭეშმარიტი, უანგარო, საზოგადოებრივი ზრუნვის შესახებ. თვით კომუნიზმი — ჩვენი საბოლოო და წმიდათა-წმიდა მიზანი — კაცობრიობის მომავალზე, და მაშასადამე — მის ყვავილობაზე უდიადეს, ყველაზე უფრო ჰუმანურსა და ღრმა მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებულ ზრუნვას წარმოადგენს. და ამიტომაა, რომ ამ მიზნის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ნორჩი თაობის ცხოვრება იყოს ბედნიერი, ნათელი, ყოველი კეთილისაკენ გზახსნილი; ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირში, ისე როგორც არცერთ ქვეყანაში, განხორციელებულია უდიდესი ღონისძიებები იმისათვის, რომ ბავშვებს დაუბრკოლებლად მიუწვდებოდეთ ხელი სწავლა-განათლებაზეც, ფიზიკურ განვითარებაზეც, შრომის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მწვერვალებზე.

ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი ნორჩი თაობის ბედნიერი, უზრუნველი და ულრუბლო ცხოვრებისათვის. მაგრამ „ბავშვთა დაცვის დღე?!" ეს სიტყვები ხომ კაცობრიობის მომავლისათვის მოღვაწე ადამიანებისადმი რაღაც გამაფრთხილებელ, შემაშფოთებელ მოწოდებადაც ჟღერს, ზრუნვასთან ერთად!... ის ხომ დევიზია: „გაუფრთხილდით ბავშვებს, მათ სიცოცხლეს, ჩვენს ყვავილობას!" საიდან მოდის ეს შეშფოთება? რა აქვს საფუძვლად ამ გაფრთხილებას?

...გაიხსენეთ დენთის კვამლითა და ხანძრით გარუჯული წლები!.. წლები, როცა მაზარაგადაცმულ წარბშეკრულ მამებს შაშხანის ცივ კონდახებზე ჰქონდათ ხელი შემოსალტული, რათა მრისხანე პასუხი გაეცათ მათი ოჯახების ასაწიოკებლად მომხდური მტრისათვის, ხოლო სუნთქვა შეკრული დედები ძრწოლით ადევნებდნენ თვალს შუბლშეკრულ ზეცას, საიდანაც საჰაერო პირატები სიკვდილსა და ცეცხლს სთესდნენ და შეშფოთებით იკრავდნენ მკერდში შვილებს. გაიხსენეთ ისიც, რომ დღეს, მშვიდობისათვის ალმდგარი მილიონების პირისპირ დგანან ატომის ცოფმორეული მოციქულნი რომელთა ლექსიკონი მარტოოდენ „ცივი" და „ცხელი" ომების ტერმინოლოგიითაა სავსე. გაიხსენეთ და ცხადი გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა დღევანდელ პირობებში „ბავშვთა დაცვის დღეს".

საბჭოთა ხალხი, რომელსაც პროგრესისა და ბედნიერებისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში მტკიცედ უძღვის წინ მშობლიური კომუნისტური პარტია და მთავრობა, კვლავაც შეუპოვრად დგას თავისი იმედის, თავისი მომავლის — ნორჩი თაობის ბედნიერების, მშვიდობიანი ცხოვრების სადარაჯოზე. მისი ნების გამომხატველი საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს, რათა არავინ შეაშფოთოს კაცობრიობის ყვავილობის ეს უზრუნველი, ულრუბლო, დღენათელი განვითარება, რათა უმტკივნეულოდ განვლოს ნორჩმა თაობამ თავისი ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის წლები და კანონიერად ჩაიბაროს მშრომელი ადამიანების, მამა-პაპათა მთელი მონაგარი, მომავლის საჭე.

და ამ დიადი, კეთილშობილური ბრძოლის მოწინავე რიგებში არიან საბჭოთა ფიზკულტურელებიც, სპორტსმენებიც, ვინაიდან ჩვენი მომავალი — ჩვენი სპორტის მომავალიცაა, ხოლო ფიზიკური კულტურის უპირველესი და წმიდათა-წმიდა მოვალეობა ნორჩი თაობის ბედნიერი, ჯანმრთელი, ჯანმაგარი სიცოცხლის დაცვაა.



ჩვენი იმედი!

ფოტოეტიუდი დ. იაკობაშვილისა.

# ბავშვები — ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი!

## ზეზვა გაფრინდაულის ხსოვნის აღსანიშნავად

ქვემო ალვანში ამ დღეებში გაიმართა სპორტული დღესასწაული ბახტრიონის გმირის ზეზვა გაფრინდაულის ხსოვნის აღსანიშნავად. შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ცხენოსნები, მშვილდოსნები, ფრენბურთელები, ფეხბურთელები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ცხენოსანთა, 4-კილომეტრიანი დოღის სტარტზე გამოვიდა 9 მონაწილე. ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდნენ გ. დევდარაიძე და 3 დილოიძე.

მშვილდოსნობაში გამარჯვებისათვის მებრძოლ 15 სპორტსმენიდან 11 მოხუცი კოლმეურნე და 4 მოსწავლე იყო. ყველა მონაწილეს 30 მეტრიდან უნდა ესროლა სამ-სამი ისარი. პირველობა წილად ხვდა 55 წლის კოლმეურნე რ. ხაჩიძეს, რომელმაც ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსწავლე ჟ. შაბალაიძე.

ფეხბურთსა და კალათბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ქვემო ალვანისა და ფშაველის საშუალო სკოლების გუნდები. ფეხბურთელთა მატჩი დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 2:1. ისინი ძლიერები აღმოჩნდნენ კალათბურთშიც და მოიპოვეს გამარჯვება — 54:37.

ვ. ყუშიტაშვილი

შემოსული წერილების მიმოხილვა

# სპარტაკიადის [illegible]

# გურჯაანიდან, ზუგდიდიდან, გორიდან, ქუთაისიდან...

## კორესპონდენტები გვატყობინებენ

ახლოვდება მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც უნდა გამოავლინოს უძლიერესნი რესპუბლიკური ნაკრებისათვის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში. საქართველოს რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები და ფიზკულტურის კომიტეტები კარგახანია შეუდგნენ მოსწავლეთა სპარტაკიადების ჩატარებას, რომელთა შესახებ რედაქცია ხშირად ღებულობს მასალებს. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ შეხვედრების შედეგებს, ამხილებენ შეჯიბრებებზე გამოვლინებულ ნაკლოვანებებს.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველი ი. ოდიშელიძე გურჯაანიდან გვწერს, აქ უკვე დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი და მძლეოსნობა. ფრენბურთსა და კალათბურთში შეხვედრები ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფში. ფრენბურთში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ სოფელ გურჯაანის ვაჟთა და ქალაქ გურჯაანის გოგონათა გუნდებს. კალათბურთში პირველები იყვნენ ახაშენისა და გურჯაანის სპორტსმენები.

მძლეოსანთა შეჯიბრებაზე კარგი შედეგები აჩვენეს ვ. საკაშვილმა (ჭაბუკებში) და ჯ. გიორგაძემ (გოგონათა შორის), რომლებიც პირველ ადგილებზე გამოვიდნენ როგორც 100 მეტრზე რბენაში, ისე სიგრძეზე ხტომაში. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობეს ნ. მაჭავარიანმა და მ. ლუკინოვამ, ბადროს ტყორცნაში ჩემპიონი გახდა ი. მელექსიშვილი და სხვ.

• • •

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა მოსწავლეთა IX რაიონული სპარტაკიადა — გვწერს ზუგდიდელი კორესპონდენტი ა. ბაკურაძე — პროგრამით გათვალისწინებული 7 სახეობიდან საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს რაიონული ცენტრის ა. წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. ცალკე გაიმართა შეხვედრები სოფლის სკოლებს შორის, სადაც გასული წლის ჩემპიონმა ჭითაწყაროს სკოლამ პირველი ადგილი დაუთმო ნარაზენის კოლექტივს. შეჯიბრების პროცესში ნაჩვენებ იქნა 1 პირველი, 4 — მეორე, 42 — მესამე და 52 მოზარდთა თანრიგის შედეგი.

• • •

აფხაზეთის ახალი რეკორდით აღინიშნა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრება აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, სადაც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ქალაქ სოხუმის, გალის, ტყვარჩელის, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონების გუნდები. გალელმა მოსწავლემ ო. ზუხბაიამ ბადრო ტყორცნა 41,01 მეტრზე. სპარტაკიადის პროგრამის სხვა სახეობებიდან სოხუმელმა სპორტსმენებმა ყველას აჯობეს კალათბურთში, ფრენბურთში, სროლაში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში. უძლიერესთაგან შეიქმნა ნაკრები გუნდები, რომლებიც ენერგიულად ემზადებიან რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის — იწერება სოხუმიდან ჯ. ანთია.

• • •

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გ. როინიშვილი, გორიდან გვატყობინებს, რომ აქ ჩატარებულ სპარტაკიადაზე კარგი შედეგები მოიპოვეს მძლეოსნებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში ე. ხიტირიას — 6 მ 17 სმ, სიმაღლეზე ხტომაში ჯ. ქურდიყოშვილის — 180 სმ, აგრეთვე ფ. თათრიშვილის — 175 სმ შედეგები. მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც წელს პირველად ჩატარდა, გაიმარჯვეს VI საშუალო სკოლის ჭაბუკთა და VII საშუალო სკოლის გოგონათა გუნდებმა. ტანვარჯიშში ჩემპიონები გახდნენ პირველთანრიგოსან ვაჟთა შორის — გ. კობერიძე, გოგონათა შორის — ც. მჭედლიშვილი. ჩატარდა შეხვედრები აგრეთვე ფრენბურთში, კალათბურთში და სხვა სახეობებში.

• • •

მოსწავლეთა ოთხი საქალაქო რეკორდი გააუმჯობესეს ქუთაისელმა მოსწავლეებმა მძლესანთა შეჯიბრებაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა ქუთაისში სპარტაკიადის პროგრამით. მათი ავტორები არიან: მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე ა. რუხაძე 100 მეტრზე რბენაში — 11,1 წამი, მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. მიაგკი 200 მეტრზე რბენაში — 23,5. ორი ახალი რეკორდი ეკუთვნის რ. ავალიანს (მე-16 საშუალო სკოლა) — სიმაღლეზე ხტომაში — 170 სმ და სიგრძეზე ხტომაში — 6,46 მ. საერთო გუნდური საპრიზო ადგილები მოიპოვეს მე-9, მე-13 და 1-ლი საშუალო სკოლების კოლექტივებმა — გვწერს დ. ეფრემაშვილი.

• • •

ხაშურის რაიონის მოსწავლეთა VIII ტრადიციული სპარტაკიადა ჩატარდა სამ ჯგუფად. ჯგუფების მიხედვით გამარჯვებულები გამოვიდნენ ხაშურის პირველი საშუალო, ქვიშხეთის საშუალო და ტეზრის 7-წლიანი სკოლების გუნდები. — ხაშურიდან გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი შ. ლურსმანაშვილი.

# ე. მელიქიშვილი ასრულებს ოსტატის ნორმას

თბილისის „მონკავშირის" სტენდზე გრძელდება საქართველოს მონადირეთა კავშირის პირველობა სასტენდო სროლაში, რომელშიც მონაწილეობს რესპუბლიკის 50 უძლიერესი მსროლელი, მათ შორის 13 სპორტის ოსტატი.

დიდ წარმატებას მიაღწია მსროლელმა ქალმა ე. მელიქიშვილმა, რომელმაც ადგილიდან სროლის პირველი სერიის 25 სამიზნედან ყველა დაამსხვრია, ხოლო მეორე სერიაში ორჯერ ააცდინა. აშკარა იყო სპორტსმენი კარგ ფორმაში იმყოფებოდა და იბრძოდა ოსტატობის მოსაპოვებლად. მესამე სერიაში იგი ღელდა და ამაოდ ესროლა 7 სამიზნეს. დარჩენილ მეოთხე სერიაში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად საჭირო იყო 20 მფრინავი თეფშის გატეხა მაინც. მელიქიშვილმა წარმატებით გადაჭრა ეს ამოცანა, დაამსხვრია 22 სამიზნე, 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 88 ქულა და მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება. ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდიცაა. ახალგაზრდა მსროლელს გამარჯვებაში დიდად შეუწყო ხელი მისმა მწვრთნელმა ზ. მაჩხანელმა.

მეორე დღეს ე მელიქიშვილმა მაღალ დონეზე ჩაატარა ოთხივე სერია— 100-დან 92 სამიზნე დაამსხვრია, კიდევ ერთხელ შეასრულა სპორტის ოსტატობა და გააუმჯობესა წინა დღით დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი. აღსანიშნავია, რომ ე. მელიქიშვილმა სროლის ამ სახეობაში მონაწილე 36 ვაჟიდან უკან ჩამოიტოვა 30 და საერთო მეექვსე ადგილი დაიკავა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ადგილიდან სროლა პირველი ჯგუფის სპორტსმენთა შორის. პირველი სერიის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობდა ი. საგანელიძე, მაგრამ შემდეგში მას გაასწრეს ზ. მაჩხანელმა, შ. ჩახნაშვილმა, ტ. კობერიძემ და ვ. ჯაბახიძემ. უკანასკნელი სერიის წინ თანაბარი რაოდენობის სამიზნე ჰქონდათ დაზიანებული შ. ჩახნაშვილს, ზ. მაჩხანელსა და ვ. ჯაბახიძეს. მეოთხე სერიაში ჯაბახიძემ მხოლოდ 21 ქულის მოგროვება შეძლო. შ. ჩახნაშვილმა 24-სა, ხოლო მაჩხანელმა სუფთად გაიარა ეს სერია და სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას.

მეორე დღეს უნდა გამოევლინა გამარჯვებული ადგილიდან სროლაში. მართალია, ზ. მაჩხანელმა პირველი სერიის შემდეგ კიდევ ორი ქულით ჩამოიტოვა უკან შ. ჩახნაშვილი, მაგრამ შემდეგ სერიაში საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს თვითონ გასულიყო წინ. 200 გასროლის შემდეგ ორივემ 189-189 სამიზნე დააზიანა.

დაიწყო დამატებითი სროლები ჩემპიონის გამოსავლინებლად. სტარტზე გამოვიდნენ ზ. მაჩხანელი, შ. ჩახნაშვილი (I-II ადგილებისათვის) და ი. საგანელიძე, ა. ოვსეპიანი (III-IV ადგილისათვის). 24-24 სამიზნის დაზიანება შეძლო პირველმა სამეულმა, ხოლო ოვსეპიანმა 19-სა. ამრიგად, მესამე ადგილი მიეკუთვნა საგანელიძეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა ჩემპიონობის ბედი. მსაჯთა კოლეგია ორჯერ შეიქნა იძულებული დამატებით სროლები მიეცათ ზ. მაჩხანელისა და შ. ჩახნაშვილისათვის, რადგან პირველ სერიაში მათ ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. მომდევნო სერიაში მაჩხანელმა შეძლო უპირატესობის მოპოვება და დაიკავა პირველი ადგილი.

ჯ. მოწონელიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# არ იგრძნობა წინსვლა და დაოსტატება

თეთრი წყაროს რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნისა" და სკოლების ძირეულ კოლექტივებში კარგი სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდობაა. მაგრამ იმის გამო, რომ სპორტსმენთა წვრთნა-დაოსტატებისათვის სათანადოდ არ ზრუნავენ, არ უქმნიან ნორმალური მუშაობის პირობებს, ამ უკანასკნელ წლებში ნაკლებად იგრძნობა მათი ზრდა, ახალი კადრებით სპორტული კოლექტივების შევსება. იშვიათად ეწყობა სპორტული ღონისძიებები და როცა ეწყობა, ახალგაზრდობა ერთობ დაბალ შედეგებს აღწევს.

ეს სავსებით დაადასტურა ამ დღეებში აქ ჩატარებულმა საშუალო სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადამ. სპარტაკიადის მოწყობის ცუდ ორგანიზაციაზე რომ არ ვილაპარაკოთ, მოსწავლე ფეხბურთელები, კალათბურთელები, ფრენბურთელები და მძლეოსნები აშკარად მოუმზადებელნი წარსდგნენ. მაგალითად, ასურეთის საშუალო სკოლის გოგონებისა და ვაჟთა სპორტული კოლექტივები წინა წლებში კარგი სპორტული მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ წელს სუსტი წვრთნისა და საერთო მოუმზადებლობის გამო მეტად დაბალი შედეგებით დაკმაყოფილდნენ. იგივე ითქმის ბოგვის, დალეთ-ხაჩინის, წინწყაროს, პატარა ირაგის და სხვა საშუალო სკოლების მიერ სპარტაკიადაზე წარგზავნილ სპორტულ კოლექტივებზე. ასურეთის საშუალო სკოლის კალათბურთელ გოგონებს შარშანდელი სეზონის შემდეგ წვრთნა მხოლოდ სპარტაკიადის დაწყების წინა დღეს ჰქონდათ ჩატარებული და ისიც ორჯერ.

ეს ჩამორჩენა, ერთის მხრივ, აიხსნება ძირეულ კოლექტივებში მუშაობის შესუსტებით, მათდამი ცუდი დახმარებითა და, მეორეს მხრივ, თვით იმ კოლმეურნეობათა უყურადღებობით, რომლებშიც აღნიშნული სოფლების საშუალო სკოლები შედიან.

ამის დასამტკიცებლად ერთი ფაქტიც საკმაოდ მეტყველებს: მაისის დასაწყისში ბოგველმა მოსწავლეებმა ამხანაგური შეხვედრის ჩატარებისათვის მოიწვიეს ასურეთელი მოსწავლე ფეხბურთელები. ასურეთელებმა მიწვევა მიიღეს და დანიშნულ დროზე გამოცხადდნენ კიდეც, მაგრამ შეხვედრა ჩაიშალა იმის გამო, რომ ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის (სადაც სოფელი ბოგვიც შედის) ხელმძღვანელებმა ნება არ დართეს მოსწავლეებს თავიანთი საფეხბურთო მოედანი დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ იმ მიზეზით, რომ თურმე მათ მოედანი სათიბად ჰქონდათ გათვალისწინებული.

დალეთ-ხაჩინის, სამშვილდის, კოდის, წინწყაროს და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში საშუალება აქვთ გამოჰყონ ფეხბურთის მოედნებისათვის საჭირო ფართობი, მაგრამ ჯერჯერობით უყურადღებოდ რჩება აღნიშნული სოფლების მოსახლეობისა და ახალგაზრდობის კანონიერი მოთხოვნები.

ძირეულ კოლექტივებში გარდა სპორტული მოედნებისა, მკვეთრად იგრძნობა სპორტული ინვენტარის ნაკლებობა. არა აქვთ საწვრთნელი იარაღები, არავინ ზრუნავს გუნდების სპორტული ფორმით უზრუნველყოფისათვის. ფეხბურთელთა გუნდებისათვის სპორტული ფორმა არა აქვთ წინწყაროს, კოდის, დაბა თეთრიწყაროს, ჯორჯიაშვილის, დუმანისისა და რიგ სხვა კოლმეურნეობათა ძირეულ კოლექტივებს. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს „დაავიწყდათ" სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული კომიტეტის ანგარიშზე გადარიცხონ დაწესებული იურიდიული შესატანი თანხა.

მდგომარეობა გამოსწორებას მოითხოვს, ძირეული კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას ყურადღება უნდა მიექცეს.

ვ. დვალი

მამხილებელი წერილი თეთრი წყაროდან

## მეტი თავშეკავება მართებთ

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ერთდროულად სამ ლეიბზე მიმდინარეობდა თბილისის ჭაბუკთა პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „ბურევესტნიკის", „დინამოს", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", „განთიადის", განათლების განყოფილების 169 სპორტსმენი.

ვიდრე შეჯიბრების ტექნიკურ ანგარიშზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მწვრთნელი გაუთავებელი კამათით ერთმანეთში და მსაჯებთან, მაყურებელთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა და თავის აღსაზრდელებსაც ცუდ მაგალითს აჩვენებდა.

ამ მხრივ ყველას გადააჭარბა დინამოელთა მწვრთნელმა სპორტის ოსტატმა მუზაშვილმა, რომელიც თავისი უტაქტო საქციელით ხელს უშლიდა შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. აქვე აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: აჯიაშვილმა კლასიკურ ჭიდაობაში დამარცხება განიცადა რურუასთან. აჯიაშვილმა მდგომარეობის გამოსწორება თავის ძმასთან ერთად მსაჯის დაშინებით სცადა. მისი მწვრთნელი პ. იორდანიშვილი კი ამ ფაქტს გულდამშვიდებით შესცქეროდა.

კლასიკურ ჭიდაობაში დედაქალაქის ჩემპიონები გახდნენ დ. ძნელაძე, რ. ხაჩატუროვი (ორივე განათლების განყოფილება), გ. აბასოვი („სპარტაკი"), ი. ფილიშვილი, ი. ხაჩანაშვილი, მ. სვანი (ყველა განათლების განყოფილება), გ. წიწიაძე („დინამო") და ნ. ერემაშვილი („სპარტაკი"). გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ განათლების განყოფილების სპორტსმენები.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ვალიშვილმა („დინამო"), ა. ქუჩაძემ („შრომითი რეზერვები"), ო. მეკრავიშვილმა, ვ. რუხაშვილმა (ორივე „ბურევესტნიკი"), ე. მაისურაძემ („სპარტაკი"), რ. შენგელიამ, გ. შენგელიამ (ორივე „დინამო") და ა. გაგნიძემ („ბურევესტნიკი"). გუნდური პირველობა წილად ხვდათ ბურევესტნიკელებს.

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

## ველოსიპედებზე სხედან პატარები

პიონერთა ორგანიზაციის 36 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ ბათუმის პიონერთა სახლმა მოაწყო შეჯიბრება ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის სკოლების დაწყებითი კლასების 215 მოსწავლე.

შეჯიბრების პროგრამაში იყო ველორბოლა 200 მეტრზე ორბორბლიან და სამბორბლიან საბავშვო ველოსიპედებით.

ბიჭებს შორის ორბორბლიან ველოსიპედზე გამარჯვება მოიპოვა № 9 საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ოთარ ინწკირველმა.

ამავე ტიპის ველოსიპედზე გოგონებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა № 5 საშუალო სკოლის მეორეკლასელი ლიდა გილდინბერგი.

სამბორბლიან ველოსიპედზე 200-მეტრიანი დისტანცია ყველაზე ადრე გაირბინა № 4 საშუალო სკოლის მეორეკლასელმა გოგონამ მაგული ცეცხლაძემ. „ორლიონოკის" მარკის ველომანქანებზე ყველას აჯობა № 17 სკოლის მოსწავლემ ვადიმ ობერმოტმა.

შეჯიბრების დამთავრებისას გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრები და ქალაქ ბათუმის პიონერთა სახლის სიგელები.

შ. მამირაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გამოჩენილ მძლეოსანთა ჯილდოზე

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრება მოკლე მანძილებზე რბენაში, სპორტის დამსახურებული ოსტატების ნ. დვალიშვილის (ქალებისათვის) და ლ. სანაძის (ვაჟებისათვის) ჯილდოებზე.

შეჯიბრება ტარდებოდა 100 და 200 მეტრზე რბენაში, სადაც გამარჯვებული იქნებოდა ის მძლეოსანი, რომელიც ამ ორ სახეობაში შეჯიბრების შედეგად დააგროვებდა ქულათა მეტ ჯამს.

შეჯიბრება დაიწყო ქალთა გარბენებით 100 მეტრზე. საუკეთესო დრო ამ მანძილზე უჩვენეს ბათუმელებმა ე. ლუკაშოვამ — 13,1 (რამდენიმე დღის წინ მან ეს მანძილი გაირბინა 12,8 წ., რაც აჭარის ახალი რეკორდია) და თ. რაყმანოვამ — 13,3 (თ. რაყმანოვამ კი თავი ისახელა სიგრძეზე ხტომაში — 5,50 მ. — აჭარის ახალი რეკორდი).

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ი. ფალავამ—11,5 წ. ასეთივე დრო ჰქონდა ბათუმის მესამე სკოლის მოსწავლეს მ. ვოლდს, რომელიც მას მკერდით ჩამორჩა.

200 მეტრი ქალთა შორის დამთავრდა ისევ ე. ლუკაშოვას გამარჯვებით — 27,8 წამი. თ. რაყმანოვამ 0,5 წამით უარესი დრო უჩვენა. ვაჟთა შორის ისევ ი. ფალავა იყო პირველი ფინიშის ხაზთან — 23,5 წამი.

ამრიგად, ქულათა ჯამით ქალთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ბათუმის მე-10 სკოლის მოსწავლე ე. ლუკაშოვა (1426 ქულა), რომელსაც გადაეცა სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილის ჯილდო. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბათუმის 22-ე სკოლის მოსწავლემ ი. ფალავამ (1414 ქულა). მომდევნო ადგილები დაიკავეს ქალთა შორის — თ. რაყმანოვამ და ვაჟთა შორის — ქობულეთელმა ა. ბრონიკოვმა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. სანაძემ გამარჯვებულთ მიულოცა და გადასცა სამახსოვრო თასები.

**ლ. გიორგაძე.**

## გ. შარაბიძისა და რ. კაჭახიძის წარმატება

### საქართველოს სსრ 1958 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში

უკანასკნელ დღეს ყველა იარაღზე კვლავ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. ამ ტიტულის დასაკუთრება შეეძლო მხოლოდ იმ სპორტსმენს, რომელიც მრავალჭიდის ჯამში დააგროვებდა ქალებში 68, ხოლო ვაჟებში — 102 ქულას. ამიტომ საჭირო იყო სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების დროს ყოველ მონაწილეს თანაბრად გაენაწილებინა ძალები, ყველა იარაღზე მაღალი შეფასება მიეღო და მოეპოვებინა ჩემპიონობისათვის შემდგომი ბრძოლის უფლება. მაგრამ როგორც იტყვიან, აქ „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე ა. ნარიმანოვი, რომელსაც მრავალჭიდში ქულათა საკმაო რაოდენობა არ აღმოაჩნდა და იგი შეჯიბრების ბოლო დღეს იარაღებზე უხალისოდ, ყოველგვარი ინტერესის გარეშე ვარჯიშობდა. ასევე ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი გამოაკლდა ქალებსაც — მ. ჯულელი შეჯიბრების დასკვნით ნაწილში არ მონაწილეობდა.

ქალთა შორის თავი ისახელა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. შარაბიძემ, რომელმაც 4-დან 3 იარაღზე მოიპოვა ჩემპიონის წოდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორძელზე ვარჯიში, სადაც მან 9,5 ქულა დაიმსახურა. ასევე კარგი იყო ახალგაზრდა ქ. ქაჯაია ხტომაში, სადაც მისი ვარჯიში 9,3 ქულით შეფასდა. იგი ამ იარაღზე გამარჯვებულის — გ. შარაბიძის შემდეგ მეორე ადგილზე გამოვიდა, რაც ახალგაზრდა სპორტსმენის დიდი წარმატებაა.

დვირზე ვარჯიშის ორი ცდის ჯამში წინ იყო ე. ხახუბია, მაგრამ ბოლო დღეს მან 8,85 ქულა მიიღო, გ. შარაბიძემ კი 9,4, რაც საკმარისი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატისათვის რომ ამ იარაღზეც ჩემპიონი გამხდარიყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, თავისუფალ ვარჯიშში ტოლი არ ჰყავდა თ. ბეთანელს, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ვარჯიში გაბედულად, მეტად დინამიურად შეასრულა და 9,55 ქულის მიღებით უზრუნველჰყო თავისთვის ჩემპიონის სახელი.

რ. კაჭახიძე განსაკუთრებით კარგი იყო ორძელზე, სადაც მისი ვარჯიში ყველასაგან სიძნელით და შესრულების სიზუსტით განსხვავდებოდა. ამიტომ იყო, რომ მან აქ მაღალი შეფასება — 9,5 ქულა და ამასთან ერთად ჩემპიონის სახელიც დაიმსახურა. რ. კაჭახიძის გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება თავისუფალ ვარჯიშსა და ღერძზე. უკანასკნელ იარაღზე მას მეტოქეობა ჰქონდა ო. ქორქიასთან, რომელსაც სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჯამში ყველაზე მეტი ქულათა რაოდენობა ჰქონდა—18,7. მაგრამ ლიდერმა ბოლო დღეს ვარჯიში სუსტად შეასრულა და პირველი ადგილი რ. კაჭახიძეს გადაულოცა. ამ უკანასკნელმა აქ 9,3 ქულა მიიღო.

ხტომებში ი. ამაშუკელმა განსაკუთრებით კარგად გააკეთა მეორე ნახტომი, დაიმსახურა 9,5 ქულა და გაინაღდა ჩემპიონის სახელი. რგოლებზე უძლიერესი იყო ნ. მაკალათია, ტაიჭზე — ო. ქორქია.

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები ასეთია:

**ქალები:** დვირი — გ. შარაბიძე — 28,05, ე. ხახუბია — 27,55, მ. ცნობილაძე — 27,3; ხტომები — გ. შარაბიძე — 27,7, ქ. ქაჯაია — 27,5, ვ. კლიმოვა — 27,4; ორძელი — გ. შარაბიძე — 28,1, თ. ბეთანელი — 27,9, ე. ხახუბია — 27,45; თავისუფალი ვარჯიში — თ. ბეთანელი — 28,8, გ. შარაბიძე — 28,45, მ. ნინოშვილი — 27,7.

**ვაჟები:** თავისუფალი ვარჯიში — რ. კაჭახიძე — 26,65, ნ. ფრიდონიშვილი — 26,45, ნ. მაკალათია — 26,35; ღერძი — რ. კაჭახიძე — 27,55, ო. ქორქია — 26,6, ნ. ფრიდონიშვილი — 25,8; ორძელი — რ. კაჭახიძე — 27,8, უ. ვარდიაშვილი— 27,0, ნ. მაკალათია — 26,75; ტაიჭი — ო. ქორქია — 27,35, უ. ვარდიაშვილი — 27,1, ნ. მაკალათია — 26,0. ხტომები — ი. ამაშუკელი — 28,1, რ. პერტენავა — 27,7, ო. ქორქია — 27,5; რგოლები — ნ. მაკალათია — 26,95, რ. პერტენავა — 25,45, ი. ამაშუკელი — 23,75.

**გუნდური პირველობა (I ჯგუფი).** 1. თბილისი I, 2. თბილისი II, 3. ქუთაისი, 4. აფხაზეთი, 5. აჭარა; მეორე ჯგუფი — 1. ზუგდიდი, 2. ლანჩხუთი, 3. რუსთავი.

ამას გარდა ტარდებოდა შეჯიბრება სპორტულ საზოგადოებებს შორის, სადაც ადგილები ასე განაწილდა: „განთიადი“, „ტრუდი“, „კოლმეურნე“.

**რ. შარაბიძე,**
**სპორტის ოსტატი.**
**ზ. ჯაფარიძე.**

• • •

**სურათზე:** საქართველოს სსრ 1958 წლის ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში. მარცხნიდან — გ. შარაბიძე, თ. ბეთანელი, რ. კაჭახიძე, ო. ქორქია, ი. ამაშუკელი და ნ. მაკალათია.

## ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების ნიჩბოსანთა ზონალური შეჯიბრება

ერთ თვესაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ფოთში მდინარე რიონზე ჩატარდა რესპუბლიკის უძლიერეს ნიჩბოსანთა შეჯიბრება გაზეთ „ლელოს“ ჯილდოზე. ამის შემდეგ გაიმართა შეჯიბრება, ამჯერად აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

დადგა ძალების გამოცდის დღე— 25 მაისი.

მონაწილეთა პარადის დამთავრების შემდეგ სტარტზე მოეწყვნენ ნიჩბოსნები ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით. მესტარტის ნიშანზე ნიჩბების მძლავრი მოსმით წინ გაიჭრნენ საქართველოსა და მოლდავეთის გუნდები. გასავლელი მანძილი კი სტაიერული — 10.000 მეტრი იყო. ორივე რესპუბლიკამ ამ გაცურვაში კონკურსგარეშე გამოიყვანა აგრეთვე თითო გუნდი.

საქართველოს გუნდმა ისე განვლო მთელი დისტანცია, რომ ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა მოწინააღმდეგე ნავის ეკიპაჟისათვის, კარგმა სტარტმა, დისტანციის თანაბარი სიძლიერით გაცურვამ და ტექნიკურად შესანიშნავმა ფინიშმა მოლოდინს გადააჭარბა. გამარჯვებულების ი. ზელენსკის, ვ. საზონოვის, ნ. გიგაურისა და ვ. ბაიდანოვის ნაჩვენები დრო — 38.04,6 აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს. რამდენიმე წამის შემდეგ ფინიშზე მივიდნენ მოლდაველი სპორტსმენები, რომლებმაც აგრეთვე აჩვენეს სპორტის ოსტატის ნორმა.

[illegible]

პირველმა წარმატებამ თავისებური აღფრთოვანება შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა რიგებში. ორმოსასმელიანი კანოეთი ამავე დისტანციაზე პირველობისათვის ბრძოლა სტარტიდანვე საქართველოსა (ა. ბერიძე და ს. ხამხაძე) და მოლდავეთს (ც. ლიბა და კ. ტაბალა) შორის გაიმართა. 1000 მეტრის გავლის შემდეგ საქართველოს ნიჩბოსნების უპირატესობა შესამჩნევი გახდა, შემდეგ კი—აშკარა. როცა ფინიშამდე დარჩა 2 კილომეტრი, განვლილ დისტანციაზე ნაჩვენები შედეგი სპორტის ახალი ოსტატების „დაბადების“ ამბავს იძლეოდა, საჭირო იყო მხოლოდ მონაწილეთა მიერ ტემპის შენარჩუნება. ხამხაძის და ბერიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გადაწყვიტეს ეს ამოცანა, მაღალ ტემპში გადაკვეთეს ფინიშის ხაზი — 50.43,6 და მოიპოვეს პირველი ადგილი. მათაც აჩვენეს ოსტატის ნორმა.

ნაკლებ საინტერესო იყო ორმოსასმელიანი ბაიდარებით შეჯიბრება 1000 მეტრზე (ვაჟებისათვის). სტარტზე მხოლოდ ორი ნავი გამოვიდა. შ. ჰედიამ და ა. მატკავამ იოლად მოუგეს მოწინააღმდეგეს და მესამე პირველი ადგილი მოუტანეს საქართველოს გუნდს. ცუდი სტარტის მიუხედავად გ. ურთაშვილმა და მ. მამულოვმა (საქართველო) ორმოსასმელიანი კანოეთი 1000 მეტრზე რბოლაში უკან ჩამოიტოვეს აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ნიჩბოსნები და გაიმარჯვეს. ერთმოსასმელიანი (ლ. ნასყიდაშვილმა) და ორმოსასმელიანი (ც. სოსაურმა და ნ. დემენტიევამ) ბაიდარებით გაცურვაში ქალებისათვის 500 მეტრზე ადვილად გაიმარჯვეს.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება ერთმოსასმელიანი ბაიდარებით სპრინტერულ დისტანციაზე 500 მეტრზე. ი. ზელენსკიმ შესანიშნავ დროში—1.59,0 გადაკვეთა ფინიში და პირველი ადგილის მოპოვებასთან ერთად კიდევ ერთხელ აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმატივზე უკეთესი დრო. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანელი ტ. ბუტიევი.

თუ წინა რბოლაში ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კონკურენტები მოლდაველები იყვნენ, ორმოსასმელიანი ბაიდარით 500 მეტრზე ვაჟებისათვის მათი ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელებმა, რომლებიც ღირსეულად იბრძოდნენ გამარჯვებისათვის უკანასკნელ მეტრებამდე, მაგრამ ზედ ფინიშზე ძლიერი ბიძგით წინ გაიჭრნენ ნ. გირდა და ო. შალიაპინი (საქართველო) და გამარჯვებაც მათ ხვდათ წილად.

ესტაფეტა 4×500, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის დამთავრდა საქართველოს წარმომადგენელთა გამარჯვებით.

პროგრამის 10 სახეობიდან 10 პირველი ადგილი! ასეთია პირველი დღის შედეგები.

მეორე დღე კვლავ „იღბლიანი“ აღმოჩნდა საქართველოს ნიჩბოსნებისათვის.

ორმოსასმელიანი ბაიდარით 10.000-მეტრიან დისტანციაზე ნ. გიგაურმა და ლ. ალხაზოვმა (საქართველო) შესანიშნავ დროში — 42.59,6-ში განვლეს ურთულესი დისტანცია (ოსტატის ნორმა). თანაგუნდელებს არც ვ. ბაიდანოვი ჩამორჩა, რომელმაც ერთმოსასმელიანი ნავით ამავე დისტანციაზე თუმცა მეორე ადგილი დაიკავა, შეძლო სპორტის ოსტატის ნორმის ჩვენება. პირველ ადგილზე გამოვიდა ვ. გალიპერშტეინი (აზერბაიჯანი).

ერთმოსასმელიანი ბაიდარით 1000 მეტრზე კონკურენციის გარეშე იყო ვ. საზონოვი (საქართველო).

ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით ერთ კილომეტრზე რბოლაში საქართველოს და მოლდავეთის ნიჩბოსნებმა აჩვენეს ოსტატისათვის საჭირო შედეგი. ფინიშთან პირველები იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები (ვ. ფირალოვი, თ. როსტიაშვილი, მ. ბუზიაშვილი და ნ. ბაიდანოვი) — 3.23,2.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპორტის ოსტატობის მოსაპოვებლად მსაჯთა კოლეგიამ ნება დართო საქართველოსა (ც. ნასყიდაშვილი, ა. მატკავა, შ. ჰედია და ზ. მაჩხანელი) და აზერბაიჯანის ნიჩბოსნებს ეცადათ ძალები 10.000 მეტრზე. ეს ამოცანა ბრწყინვალედ განახორციელა ორივე ნავის ეკიპაჟმა.

შეჯიბრება დამთავრდა საქართველოს ნიჩბოსანთა გამარჯვებით. მათ 16-დან მოიპოვეს 14 პირველი ადგილი.

**ა. ლომაია,**
**ჩვენი საკ. კორესპონდენტი.**

• • •

**სურათებზე:** 10.000 მეტრზე რბოლაში გამარჯვებულები: მარცხნივ — ვ. ბაიდანოვი (საქართველო) და ვ. გალიპერშტეინი (აზერბაიჯანი), რომლებმაც პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. მარჯვნივ — აზერბაიჯანისა და საქართველოს ოთხმოსასმელიანი ბაიდარები დისტანციაზე.

ფოტოები: რ. ლვამიჩავასი.





8 ივნისს შვეციაში დაიწყება მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

# ფეხბურთში მსოფლიო პირველობის მარშები




I ჯგუფი

არგენტინა: „თქვენ სამმა მოილაპარაკეთ ვინ იქნება მეოთხედფინალში გასვლის მეორე მონაწილე".

გფრ, ჩრდ. ირლანდია, ჩეხოსლოვაკია (ერთმანეთის შესახებ): მათ კარგი შედეგები აჩვენეს, ახლა ჩვენც უნდა „გავიზარდოთ".

II ჯგუფი

საფრანგეთი, იუგოსლავია, შოტლანდია: „შეიძლება იგი არც ისეთი საშიშია, როგორც გვეჩვენება".

პარაგვაი: „ო-ო-ო, ძრწოდეთ, თეთრკანიანებო!" .

III ჯგუფი

უნგრეთი, შვეცია: „კენჭისყრა არც ისე ცუდი იყო".

უელსი, მექსიკა: „როგორც ჩანს, ჩვენ ისინი არაფრად გვაგდებენ".

IV ჯგუფი

სსრკ, ინგლისი, ბრაზილია: „ჩვენი ჯგუფის მატჩები ნახევარფინალს უფრო წააგავს, ვიდრე წინასწარ თამაშებს".

ავსტრია: (ჩუმადაა...)

მეგობრული შარჟი ჟურნალ „სტადიონიდან" (პრაღა).

## ლიდერი დამარცხებულია

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 30 მაისი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი)-„ყუბანი" (კრასნოდარი) —2:0 (1:0).

„ბურევესტნიკი": რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; გოგიჩაიშვილი, მუმლაძე; იაშვილი, ხაზარაძე (ბეხმეტიევი), ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ხოჭოლავა.

„ყუბანი": ტიტოვი; ნიკიტინი, რუდაკოვი, ბასოვი; ბულიგინი, იგნატოვი; შადგინი, მანგასაროვი (გორინი), კოსტილევი, ევსიუკოვი, ზიბროვი.

მსაჯი ი. გრიგორიევი (ბაქო).

მატჩის დასაწყისი ერთობ დრამატული გამოდგა კრასნოდარელთათვის. უკვე მე-5 წუთზე მათი ცენტრალური თავდამსხმელი კოსტილევი პირისპირ გავიდა „ბურევესტნიკის" კარის წინ და ნელა მიუგორა ბურთი რუხაძეს. მეკარემ შორს გადააწოდა იოლად აღებული ბურთი ურთქმელიძეს, ამ უკანასკნელმა გადასცა ზეინკლიშვილს, რომელმაც გახსნა ანგარიში — 1:0.

ყველაფერი ეს მოხდა მაღალ ტემპში, სწრაფად. ეს ტემპი არ შენელებულა მთელი თამაშის განმავლობაში. ყუბანელები ფიზიკურად ჩინებულად არიან მომზადებული, თამაშობენ სწრაფი, ზუსტი გადაცემებით, ბურთის გაუჩერებლად. მათი ნახევარმცველები და შუამარბები ზევრს მუშაობენ მინდვრის შუაგულში. ყოველთვის ასწრებენ როგორც შეტევაში მონაწილეობას, ისე დაცვაში დაბრუნებას. მეტად აგრესიული და სახიფათოა „ყუბანის" მარჯვენა გარემარბი შადგინი, რომლის ყოველი გარღვევის შემდეგ თბილისელთა კარი აშკარა საფრთხის წინაშე იდგა ხოლმე.

სტუმრები თანდათან და დარწმუნებით ეუფლებიან ინიციატივას, თავდამსხმელები სულ უფრო ხშირად ჩადიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ „ბურევესტნიკის" დაცვა მძიმე ბრძოლაში ახერხებდა ხიფათის მოგერიებას. ტაიმის დასასრულს თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში და კონტრშეტევაზეც გადავიდნენ. ორჯერ დაკარგა კარგი შესაძლებლობა ხაზარაძემ, ძნელი ბურთი აიღო ტიტოვმა გოგიჩაიშვილის მოულოდნელი დარტყმის შემდეგ.

ტემპი, არ შენელებულა მეორე ტაიმშიც. თითქმის მთელი 45 წუთის განმავლობაში უპირატესობა ყუბანელთა მხარეს იყო. „ბურევესტნიკის" თავდამსხმელები პასიურად იბრძოდნენ ბურთისათვის მოწინააღმდეგის ნახევარზე და თამაშის მთელი სიმძიმე დააწვა დაცვასა და მეკარეს. და უნდა ითქვას, სტუდენტთა გუნდის უკანა ხაზებმა წარმატებით შეასრულეს ეს რთული ამოცანა. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო რუხაძემ.

მატჩის დამთავრებამდე აკლდა 3 წუთი როცა ხოჭოლავამ შორიდან მიილო ბურთი და შევიდა „ყუბანის" საჯარიმო მოედანში. მის მიერ მიწოდებული ბურთი ფეხებში მოხვდა ნიკიტინს და გავიდა კარში — 2:0.

თბილისის სტუდენტთა გუნდმა მოიგო ეს უაღრესად ძნელი მატჩი და პირველი დამარცხება მიაყენა გათამაშების ლიდერს.

რ. ქორიძე

• • •

**როსტოვი.** 30 მაისი. (ტელეგრაფით). აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ სკვო (როსტოვი)-„ლოკომოტივი" (ქუთაისი).

პირველი ბურთი გატანილ იქნა მასპინძელთა კარში თამაშის პირველ წუთებზე. ცოტა ხანს შემდეგ როსტოველებმა გაქვითეს ანგარიში და ტაიმის დამთავრებამდე გაიტანეს მეორე ბურთიც.

მატჩი მოიგო როსტოვის გუნდმა ანგარიშით 2:1.

• • •

**შახტი.** 30 მაისი. (ტელეგრაფით). ადგილობრივმა „შახტიორმა" თავის მინდორზე მიიღო თბილისის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი.

თამაში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

## ინგლისის ეროვნული ნაკრები

ინგლისური ფეხბურთი მრავალი წლის მანძილზე ბატონობდა მსოფლიოს სტადიონებზე. ინგლისის ნაკრების ყოველი დამარცხება პირველი მნიშვნელობის სენსაცია იყო სპორტულ სამყაროში. პირველი სერიოზული კატასტროფა ბრიტანეთის ნაკრებმა განიცადა უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონატის წინ, როდესაც უნგრეთმა არნახული დამარცხება მიაყენა ინგლისის ნაკრებს.

მაგრამ დღეს ინგლისურმა ფეხბურთმა საბოლოოდ დაამსხვრია კონსერვატორული ნაჭუჭი და დაადგა პროგრესის გზას. გაქრა არტისტიზმი და გარეგნული ეფექტები, გაახალგაზრდავდა გუნდი, თამაშმა მეტი სიღრმე და შინაარსი შეიძინა.

ინგლისის ეროვნული ნაკრები, რომელიც ძალების დაუზოგავად ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონატისათვის, ასე გამოიყურებოდა: მეკარეები — ჰოპკინსონი („ბოლტონი"), სიმსი („ასტონ ვილა"), მეტიუზი („ჩელსი"); მცველები — ჰოუ („ვესტ ბრომვიჩი"), რაიტი, ჰარისი („ვულვერჰემპტონი"), ბირნი („მანჩესტერი"), ბონდი („ვესტჰემ იუნაიტედი"), სმიტი („ბირმინგემ სიტი"), ლენგლი („ფულჰემი"); ნახევარმცველები — კლეიტონი („ბლეკბერნი"), ედვარდსი, კოლმენი („მანჩესტერი"), ბერლოუ, სევერსი („ვესტ ბრომვიჩი"), კროუტერი („ასტონ ვილა"); თავდამსხმელები — დუგლასი („ბლეკბერნი"), ფინეი („პრესტონი"), ბრებრუკი („ჩელსი"), კურტი („ლივერპული"), ჰეინსი („ფულჰემი"), კევანი, რობსონი („ვესტ ბრომვიჩი"), გრივსი („ჩელსი"), ვაიოლეტი, ჩარლტონი („მანჩესტერი"), კიკსჰოუ („შეფილდი"), ტეილორი („მანჩესტერი"), ალენი „ვესტ ბრომვიჩი"), მიურეი („ვულვერჰემპტონი").

მოთამაშეთა შერჩევის სისტემამ ცხადყო, რომ ინგლისელმა მწვრთნელებმა უარყვეს „11 უკეთესის" ... პი, და შეეცადნენ შეექმნათ ... მოყვარე ... დავთ, ნაკრების საფუძვლად აღებულ იქნა ორი გუნდი — „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი". ყოველი კოლექტივი ნაკრებში წარმოდგენილი იყო ექვსი მოთამაშით. მწვრთნელს, უინტერბოტომს ამით უნდოდა წარმოედგინა ორი ერთმანეთში კარგად შეთამაშებული ხაზი თავდასხმისა („მანჩესტერის" წყალობით) და დაცვისა („ბრომვიჩის" ხარჯზე).

მაგრამ მოულოდნელად ინგლისურ ფეხბურთს თავს დაატყდა დიდი უბედურება — საჰაერო კატასტროფა, რომელმაც იმსხვერპლა „მანჩესტერის" წამყვანი ბირთვი: ბირნი, ტეილორი, კოულმენი და ედვარდსი. ამან ინგლისის ნაკრების პოზიციები საგრძნობლად შეარყია და შეამცირა მისი შანსები მსოფლიო ჩემპიონატზე.

ფეხბურთის სპეციალისტები ინგლისის ნაკრებს მაინც ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიახნიათ. მათ სწამთ, რომ ფეხბურთის სამშობლო ბოლოსდაბოლოს იტყვის თავის სიტყვას ყველაზე დიდ შეჯიბრებაში.

## XIX ჩემპიონატი




ვინ იქნებოდა ლიდერი, უნდა გადაეწყვიტა XIII ტურს, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ გურგენიძე და ბუსლაევი.

გურგენიძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დაიწყო თავისი საყვარელი სისტემით, რომლის წინააღმდეგ გროსმაისტერებმაც კი ვერაფერი გააწყვეს საკავშირო ჩემპიონატში. ბუსლაევმა, რომელიც გურგენიძეს მწვრთნელად ახლდა იმ ტურნირზე, იცოდა არჩეული დებიუტის დეტალები და ამიტომ პარტიის დაწყებითი ნაწილი თეორიულ ინტერესს წარმოადგენდა. ბრძოლა ყოველი სვლით სულ უფრო იმუხტებოდა. ბუსლაევის მე-11 სვლის შემდეგ გურგენიძე დაეუფლა ინიციატივას. მან ჩაკეტა თამაში ლაზიერის ფრთაზე, შემდეგ ცენტრში და შეუდგა გარღვევის მომზადებას შავი მეფის მისადგომებთან. ბუსლაევი აქტიურად იცავდა თავს, მაგრამ 24-ე სვლაზე იჩქარა, გაება გურგენიძის შენიღბულ კომბინაციაში. გარდუვალი მატერიალური ზარალის გამო ბუსლაევმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. აი, ეს პარტიაც:

**ბ. გურგენიძე—ა. ბუსლაევი**

1. e4 c5 2 მf3 e6 3. d3 მc6 4. g3 g6 5. კg2 კg7 6. 0—0 მge7 7. c3 e5 8. კe3 d6 9. a3 0—0 10. b4 b6 11. ლd2 a5 12. b5 მa7 13. a4 კb7 14. კh6 f6 15. კ:g7 მე:g7 16. ეa3 ლc7 17. d4 ეad8 18. d5 კc8 19. მc4 კd7 20. მh4 მc8 21. f4 მg8 22. ეf2 ეde8 23 ეaf1 ლd8 24. მf3 ef 25. gf ე:e4 26. მe5 de 27. კ:e4 f5 28. fe ბუსლაევი დანებდა.

კალატოზიშვილმა ენერგიული თამაშით დაამარცხა ბლაგიძე. კასპარიანმა მოუგო ლოლუას, გიორგაძემ — დემურიას. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სამი გამარჯვება მოიპოვა ბრეიტმანმა, რომელმაც მოუგო ბლაგიძეს, ლომაიასა და ბელთაძეს. დემურია უკეთეს პოზიციაში მოულოდნელად დამარცხდა შიშოვთან. უკანასკნელმა მოუგო აგრეთვე კალატოზიშვილს. გურგენიძემ საშამათო ქსელში გაახვია ლომაიას მეფე და გაიმარჯვა. მორჩილაძემ დაამარცხა იზვოზჩიკოვი. ყაიმით დამთავრდა კასპარიან-იზვოზჩიკოვის, გაგუა-დემურიას, ბლაგიძე-გამრეკელის და გაგუა-იზვოზჩიკოვის პარტიები.

XIV ტურში დამთავრდა ხუთი პარტია. ლომაიამ კარგ სტილში მოუგო კალატოზიშვილს, კასპარიანმა — გიორგაძეს. ლოლუამ დაამარცხა გაგუა. მწვავე თამაშის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ გურგენიძე და რაზოვსკი. აჟითივე შედეგით მე-15 სვლაზე დასრულდა ბუსლაევ-ბრეიტმანის პარტია.

ტურნირს კვლავ ლიდერობს ოსტატი ბ. გურგენიძე (12,5 ქულა).

განვლილ კვირას ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს შორის.

## საქართველოს პირველობა

მეორე ჯგუფი

1. ზონა. „განთიადი" (წყალტუბო)-„განათლება" (დიდი ჯიხაიში) — 1:2, „სპარტაკი" (საჩხერე)-წულუკიძე — 1:0, „იმერეთი" (ზესტაფონი)-„სალხინო" (გეგეჭკორი) — 1:1, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-„ცისკარი" (ბათუმი) — 2:0.

II ზონა. „კოლმეურნე" (გალი)-„კოლხიდა" (ზუგდიდი)—0:1. „განთიადი" (ბათუმი)-„განთიადი" (ტყვარჩელი) — 1:0, გუდაუთა-გაგრა — 2:1.

III ზონა. „ჩანჩქერი" (ბორჯომი)-ახ. საფეხ. სკოლა (თბილისი) —0:4, ორთქლ. ვაგონშემკ. ქარხანა (თბილისი)-„კოლმეურნე" (ბოლნისი) — 5:2, „დურუჯი" (ყვარელი)- ადგილ. მრეწვ. სამმართველო (თბილისი) — 0:0, „ტორპედო" (თბილისი)-კოლმეურნე" (გურჯაანი) — 3:1.

IV ზონა. „ლოკომოტივი" (გურჯაანი)-„თრიალეთი" (წალკა) —0:1, „მშენებელი" (რუსთავი)-„კოლმეურნე"(ქარელი) — 5:1, შახტა №1 (ახალციხე)-„წინანდალი" (თელავი) — 6:0.

მესამე ჯგუფი

I ზონა. სილნალი-კასპი — 3:0, ველისციხე-„შირაქი" (წითელწყარო) — 0:1, „შრ. რეზერვები" (თბილისი)-„არაგვი" (მცხეთა) — 2:3, „განთიადი" (ახმეტა)-კაჭრეთი — 5:0, „ჩანჩქერი" (ლაგოდეხი)-„კოლმეურნე" (ქისტაური) — 5:2.

II ზონა. „მოტორი" (ახალციხე)-„კოლმეურნე" (დმანისი) — 6.1, „კოლმეურნე" (ადიგენი)-„არაგვი" (დუშეთი) — 2:2, „კოლმეურნე" (წალკა)-ახალქალაქი — 2:0.

III ზონა. საბჭ. მეურნეობა (ჩაქვი)-„კოლმეურნე" (ხობი) — 5:2, „კოლმეურნე" (წალენჯიხა)-შემოქმედი — 1:2, „ვოდნიკი" (ფოთი)-ლაითური — 0:1, „კოლმეურნე" (ცხაკაია)-„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — 6:2, „თაიგული" (ლანჩხუთი)-„ცისკარი" (აბაშა) — 1:0.

IV ზონა. „კოლმეურნე" (ზუგდიდი)-„ხვანჭკარა" (ამბროლაური) — 1:1, „მამისონი" (ონი)-„მშენებელი" (ჭიათურა) — 2:1, „სპარტაკი" (მახარაძე)-„განთიადი" (ლაჯანურჰესი) — 2:1, „სპარტაკი" (ვანი) -სტალინის სახ. შახტი (ტყიბული) —2:3, „შრომა" (დიდი ჯიხაიში)-„ხვამლი" (ცაგერი) — 4:2, „გაზაფხული" (ზესტაფონი)-„ციცქა" (თერჯოლა) — 2:2, „აბჰესი" (გეგეჭკორი)-„კოლმეურნე" (მაიაკოვსკი) —0:0.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების—3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02576